

## არქიტექტურისა და მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის სამსახური

### 1.10.2:

#### 1. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

მომსახურების აღწერა:

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები უნდა მოიცავდეს:

ა) საკადასტრო მონაცემებს და საჯარო რეესტრის ამონაწერს;

ბ) მიწის ნაკვეთის ან /და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ ძირითად მოთხოვნებს:

ბ.ა) ფუნქციურ ზონას;

ბ.ბ) გამოყენების სახეობას;

ბ.გ) განაშენიანების ძირითად პარამეტრებს;

ბ.დ) განაშენიანების სახეობას (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე);

ბ.ე) მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის განთავსების (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების ხაზებს ან/და განაშენიანების სავალდებულო ხაზებს) და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის პირობებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე სართულიანობას;

ბ.ვ) სამშენებლო საქმიანობის სახეს;

ბ.ზ) ინფორმაციას მოსაჭრელი/გადასარგავი მწვანე ნარგავებისა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიების შესახებ;

გ) სხვა მონაცემებს:

გ.ა) არსებობის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთზე დარგობრივი გეგმებით დადგენილ რეჟიმებს (მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა);

გ.ბ) მიწის ნაკვეთზე ან/და შენობა-ნაგებობაზე წინასაპროექტო კვლევის შედეგად გამოვლენილ ასპექტებს.

დ) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისათვის მიკუთვნებული ობიექტების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის გეგმას, რომელზეც დატანილ უნდა იქნეს:

დ.ა) საპროექტო შენობა-ნაგებობიდან მის მომიჯნავე შენობა-ნაგებობამდე ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, ასევე ამ უკანასკნელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია;

დ.ბ) საპროექტო შენობა-ნაგებობასთან სახანძრო ავტომობილისათვის განკუთვნილი მისასვლელი და გასასვლელი გზის/გზების, ასევე მათი მოწყობის პარამეტრები.

განცხადებას უნდა

დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საკადასტრო მონაცემები და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ბ) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში – მხოლოდ შესაბამისი რეკვიზიტები), ხოლო წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში – სათანადო რწმუნებულება;

გ) ნებართვის მაძიებლის მოთხოვნას მიწის ნაკვეთის/შენობა-ნაგებობის განვითარებასთან დაკავშირებით;

დ) მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500 ან 1:1000);

ე) მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში, დამატებით საკადასტრო რუკა) დადგენილი მასშტაბით;

- ვ) მიწის ნაკვეთზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები;
  - ზ) თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი;
  - თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია;
- ვადები: 10 სამუშაო დღე

## 2. საპროექტო წინადადების შეტანხმება (ესკიზი)

მომსახურების აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

არქიტექტურული ესკიზი საჭიროების (დასმული საკითხის) შესაბამისად უნდა მოიცავდეს:

- ა) თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- ბ) განმარტებით ბარათს (საპროექტო ტერიტორიის, შენობა-ნაგებობის სტრუქტურისა და მოცულობით- სივრცითი დაგეგმარების, მხატვრულ-ესთეტიკური გადაწყვეტის შესახებ);
- გ) შენობა-ნაგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს, მათ შორის:
  - გ.ა) მიწის ნაკვეთის ფართობს;
  - გ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობს;
  - გ.გ) შენობა-ნაგებობის ფართობს;
  - გ.დ) შენობა-ნაგებობის კლასის განმსაზღვრელ პარამეტრებს;
- დ) მიწის ნაკვეთის სქემატურ გეგმას (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითად ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ნიშნულებს, მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების და სხვა ასპექტების ასახვით);
- ე) შენობა-ნაგებობის ფასადების სქემატურ ნახაზებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითადი ვერტიკალური ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ჩვენებით, ასევე, ფასადებზე გამოყენებული ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალისა და მათი ფერების მითითებით);

3. საჭიროების შემთხვევაში, დამატებით წარდგენილი უნდა იქნეს:

- ა) მიწის ნაკვეთის არსებული მდგომარეობის ამსახველი სიტუაციური გეგმა სათანადო დეტალიზაციით (მდებარეობა საქალაქო ქუჩების მიხედვით) ან/და ორთოფოტოგეგმა;
- ბ) შენობა-ნაგებობის მახასიათებელი სქემატური ჭრილები (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითადი ვერტიკალური ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ჩვენებით);
- გ) შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის სქემატური გეგმები (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითადი ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით);
- დ) შენობა-ნაგებობის აქსონომეტრიული ნახაზი ან/და ფოტომონტაჟი (ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალისა და მათი ფერების მითითებით). თუ არქიტექტურული ესკიზი მზადდება I კლასის შენობა-ნაგებობაზე ან არქიტექტურული კონცეფციის ნაწილზე, მაშინ ამ მუხლის მე-2-მე-3 ნაწილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია მოითხოვება შესაბამისად.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) საკადასტრო მონაცემები და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბ) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში – მხოლოდ შესაბამისი

რეკვიზიტები), ხოლო წარმომადგენლის მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში – სათანადო რწმუნებულება;

გ) ნებართვის მაძიებლის მოთხოვნას მიწის ნაკვეთის/შენობა-ნაგებობის განვითარებასთან დაკავშირებით;

დ) მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500 ან 1:1000);

ე) მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში, დამატებით საკადასტრო რუკა) დადგენილი მასშტაბით;

ვ) მიწის ნაკვეთზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები;

ზ) თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსების დამადასტურებელი ფოტოსურათი;

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია;

ვადები: 10 სამუშაო დღე

### 3. სამშენებლო პროექტის შეთანხმება

მომსახურების აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

არქიტექტურული პროექტი მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

ა) თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს;

ბ) სარჩევს;

გ) გამოყენებულ პირობით აღნიშვნებს;

დ) განმარტებით ბარათს (საპროექტო ტერიტორიის შესახებ, ასევე შენობა-ნაგებობის სტრუქტურისა და მოცულობით-სივრცითი დაგეგმარების, ნულოვანი ნიშნულის განსაზღვრისა და აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართების, მხატვრულ-ესთეტიკური გადაწყვეტის შესახებ);

ე) შენობა-ნაგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს, მათ შორის:

ე.ა) მიწის ნაკვეთის ფართობს;

ე.ბ) შენობის განაშენიანების ფართობს;

ე.გ) არსებულ და საპროექტო კ1-ის, კ2-ის (თითოეული სართულის მიხედვით) და კ3-ის მაჩვენებლებსა და მათ საანგარიშო ფართობებს;

ე.დ) შენობა-ნაგებობის ფართობს და არსებობის შემთხვევაში: საცხოვრებელ, საოფისე, კომერციულ, ავტოსადგომების, სასაწყობო, საერთო სარგებლობის (მათ შორის, კიბის უჯრედების, სადარბაზოების) და სხვა დამხმარე სივრცეების (მათ შორის, საზაფხულო) ფართობებს;

ე.ე) შენობა-ნაგებობის კლასის განმსაზღვრელ პარამეტრებს;

ვ) მიწის ნაკვეთის გეგმას (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, ღერძების ხაზების, გაბარიტული და ღერძულა ზომების, მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების, აბსოლუტური კორიზონტალური (კანონმდებლობით განსხვავებულ კოორდინატთა სისტემაში) და ვერტიკალური ნიშნულების, მიწის ნაკვეთის გამწვანებისა და სხვა ასპექტების ასახვით);

ზ) სართულის გეგმები ყველა დონეზე და სახურავის გეგმა:

ზ.ა) შენობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმას საკადასტრო საზღვრის პროექციის, იატაკების ზედაპირების ნიშნულების ჩვენებით, შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულს, აბსოლუტურ ნულოვან ნიშნულთან მიმართებით;

ზ.ბ) შენობის სართულების გეგმები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას სართულის ძირითადი ზომების, ოთახის ან/და სივრცის ფართობებისა და მათი ძირითადი ზომების, ასევე გასასვლელი საშუალებების ძირითადი ზომების შესახებ;

ზ.გ) ავეჯის ან/და სხვა აღჭურვილობის განლაგების გეგმები – „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად;

თ) შენობა-ნაგებობის მახასიათებელ ჭრილებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, სართულებისა და არქიტექტურული ნაწილების მიხედვით ვერტიკალური ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ნულოვან ნიშნულთან მიმართებით ჩვენებით);

ი) შენობა-ნაგებობის ფასადების ნახაზებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, სართულებისა და არქიტექტურული ნაწილების მიხედვით ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ნულოვან ნიშნულთან მიმართებით ჩვენებით, ასევე ფასადებზე გამოყენებული ყველა სახის მოსაპირკეთებელი მასალისა და მათი ფერების მითითებით);

კ) შენობა-ნაგებობის აქსონომეტრიულ ნახაზსა და ფოტომონტაჟს (მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალებისა და ფერების მითითებით);

ლ) საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს;

მ) არქიტექტურული ელემენტების (კარ-ფანჯრები, ჟალუზები და სხვ.), დეტალების (გაფორმების ელემენტები, ნაკეთობები და ა.შ.) და სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაციას;

ნ) საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელგაყვანილობის, გაზომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, წყალმომარაგებისა და წყალარინების) სქემებს;

ო) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ასევე – მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტს, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს (გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობის/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული);

2. დოკუმენტაცია ასევე უნდა მოიცავდეს მიწის ნაკვეთის არსებული მდგომარეობის ამსახველ სიტუაციურ გეგმას, სათანადო დეტალიზაციით (მდებარეობა საქალაქო ქუჩების მიხედვით) ან/და ორთოფოტოგეგმას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების გეგმას, ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმას, საკადასტრო საზღვრების გარეთ გათვალისწინებულ სამუშაოებზე (მაგალითად, ტროტუარის მოპირკეთების, არსებული პანდუსის ცვლილება) და ტერიტორიის ორგანიზების სხვა ასპექტების ამსახველ ნახაზებს.

3. შენობა-ნაგებობის ფასადის ნახაზზე უნდა აისახოს ფასადზე განთავსებული ყველა ღიობისა და არქიტექტურული დეტალის ზომები, საჭიროების შემთხვევაში, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობის სქემატური ფასადი (მაგ., ქუჩის განშლა).

4. მიწის ნაკვეთის გეგმა დამუშავებული უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე.

ვადები: 17 სამუშაო დღე

#### 4. სამშენებლო ნებართვის გაცემა

მომსახურების აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

განცხადებას უნდა დაერთოს დარჩენილი

სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო მშენებლობის გრაფიკი, ინფორმაცია მშენებლობის დასამთავრებლად მოთხოვნილი გონივრული ვადის შესახებ, სამშენებლო დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში – შესაბამისი ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, მშენებლობის ნებართვის მისაღებად გადახდილი მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი (ქვითარი).

ვადები: 5 სამუშაო დღე

#### 5. სამშენებლო პროექტის შეთანხმება და ნებართვის გაცემა

მომსახურების აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

მე-3 პუნქტში განსაზღვრულ დოკუმენტაციას უნდა დაერთოს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ვადები: 20 სამუშაო დღე

#### 6. ნებართვაზე ვადის გაგრძელება

მომსახურების აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

დარჩენილი სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო მშენებლობის გრაფიკი, ინფორმაცია ამ გრაფიკის შესაბამისად მშენებლობის დასამთავრებლად მოთხოვნილი გონივრული ვადის შესახებ და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები.

ვადები: სპეციალური ვადა არ არის დადგენილი

#### 7. შენობის საზღვრების დადგენა (გამიჯვნა)

მომსახურების აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

ა) განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ.

ბ) წარმოდგენილი იქნას უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის პროექტი.

გ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის თაობაზე.

დ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი განმცხადებლის ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

ვადები: სპეციალური ვადა არ არის დადგენილი

#### 8. მიშენების ლეგალიზაცია/რეკონსტრუქცია

მომსახურების აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შემთხვევაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

ა) ტოპოგრაფიული საფუძველი და საპროექტო ტერიტორიების სიტუაციური გეგმა ექსპლიკაციით, ორთოფოტო;

ბ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა, ხოლო თუ მიწის ნაკვეთი სხვა ფიზიკური ან იური-ადიული პირის (სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) საკუთრებაშია, აგრეთვე განმცხადებელსა და მესაკუთრეს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულება ან თანხმობა, გარდა მრავალ-ბინიან საცხოვრებელ სახლებზე მიშენება-დაშენებისა;

გ) მრავალბინიან სახლებზე მიშენება-დაშენების შემთხვევაში ბინაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

დ) ობიექტის არქიტექტურული პროექტი, ხოლო მრავალბინიან სახლებზე დასრულებული მიშენება-დაშენების შემთხვევაში – ობიექტის აზომვითი ნახაზი;

ე) ფოტოსურათები;

მრავალბინიან სახლებზე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყებული და დაუმთავრებელი იმ მიშენება-დაშენებების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი.

ვადები: 30 სამუშაო დღე

#### 9. I კლასის შენობა ან ხაზობრივი ნაგებობის შეთანხმება

მომსახურების აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

შენებლობის მარტივი შეტყობინება უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის საკუთრების შესახებ;

ბ) არქიტექტურულ ესკიზს;

გ) საჭიროების შემთხვევაში წინასაპროექტო კვლევის შედეგებს;

დ) წინასწარ გადაწყვეტილებას (არსებობის შემთხვევაში).

2. გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობის მშენებლობა/მონტაჟის შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელმა შეტყობინებას უნდა დაურთოს გარე რეკლამის განთავსების ნებართვა.

3. კავშირგაბმულობის ხაზების (ქსელების) არსებულ საინჟინრო კომუნიკაციების არხებში, შახტებსა და გვირაბებში, აგრეთვე არსებულ ბომბებსა და ანძებზე, ასევე სხვა შენობა-ნაგებობებზე გაყვანის/მონტაჟისა და ტრანშეის გაყვანის შემთხვევაში მარტივი შეტყობინება უნდა მოიცავდეს:

ა) სამონტაჟო ტერიტორიის, მიწის ნაკვეთის ან/და არსებული საინჟინრო კომუნიკაციების ნაგებობის მესაკუთრეთა თანხმობას, საზოგადოებრივი სივრცის გამოყენების შემთხვევაში – ასევე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობას;

ბ) კავშირგაბმულობის ხაზების (ქსელების) გაყვანის/მონტაჟის ტრასის პროექტს, მათ შორის ტოპოგრაფიული რუკას, არსებული ინფრასტრუქტურის ჩვენებით.

4. I კლასის ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობა/მონტაჟის შემთხვევაში შეტყობინებას თან უნდა დაერთოს:

ა) მიწისქვეშა ხაზობრივ ნაგებობათა მშენებლობა/მონტაჟის შემთხვევაში: ხაზობრივი ნაგებობების ტრასის სქემატური ნახაზი, ხოლო მიწისზედა ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობა/მონტაჟის შემთხვევაში დამატებით მზიდი კონსტრუქციების სქემატური ნახაზი;

ბ) სამონტაჟო ტერიტორიის, მიწის ნაკვეთის ან/და არსებული საინჟინრო კომუნიკაციების ნაგებობის მესაკუთრეთა თანხმობას, საზოგადოებრივი სივრცის გამოყენების შემთხვევაში – ასევე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობას;

გ) გასაადენის მშენებლობის შემთხვევაში: არქიტექტურული პროექტი და ტექნოლოგიური სქემა.

5. ლანდშაფტური მშენებლობისას, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შეტყობინებას თან უნდა დაერთოს:

ა) ხე-ნარგავების ინვენტარიზაციის გეგმა (განმარტებითი ბარათით და ხე-ნარგავების აღწერის მონაცემთა ცხრილით), საჭიროების შემთხვევაში;

ბ) დენდროპროექტი (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ლანდშაფტის კეთილმოწყობის გეგმა.

ვადები: 5 სამუშაო დღე

## 10. შენობის ექსპლუატაციაში მიღება

მომსახურების აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

ა) სამშენებლო/სანებართვო პირობებით განსაზღვრული მშენებლობის ეტაპების დასრულების შესახებ ამ წესის შესაბამისად შედგენილი საეტაპო ოქმები;

ბ) შენობა-ნაგებობის საბოლოო მდგომარეობის ამსახველი ანაზომი, 3 ეგზემპლარად, ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში, დეკლარაცია ცვლილებების არარსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ნახაზების წარდგენა სავალდებულო არ არის;

გ) შენობა-ნაგებობის ამსახველი ფოტოების წარმოდგენა;

დ) საკადასტრო აზომებითი ნახაზი, შენობა-ნაგებობის დატანით;

ე) შენობა-ნაგებობაში მექანიკური და ტექნოლოგიური მოწყობილობების არსებობის შემთხვევაში, მათ შორის, ლიფტებისა და ესკალატორების, დამონტაჟებული ტექნოლოგიური მოწყობილობების ან/და ხაზების გამოცდის აქტები, დამოწმებული შესაბამისი ორგანოს მიერ.

ასეთი ორგანოების არარსებობის შემთხვევაში, უნდა იქნეს წარდგენილი მოწყობილობათა სამონტაჟო დოკუმენტაციის შესაბამისად განხორციელებული გამოცდის შედეგები, დამოწმებული სამონტაჟო ორგანიზაციისა და მშენებლობის ნებართვის მფლობელის მიერ;

ვ) მშენებლობადამთავრებულ ობიექტში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების დასკვნა.

ვადები:

- ა) II კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში – 15 სამუშაო დღის ვადაში;
- ბ) III კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში (1500 მ<sup>2</sup>-მდე) – 15 სამუშაო დღის ვადაში;
- გ) III კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში (1500 მ<sup>2</sup>-ზე მეტი) – 20 სამუშაო დღის ვადაში;
- დ) IV კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში – 30 სამუშაო დღის ვადაში.

## 11. მიწის ნაკვეთის გაყოფა/გაერთიანება

მომსახურების

აღწერა:

საიჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი: უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, მიწის ნაკვეთ(ებ)ის საკადასტრო აზომვითი ნახაზები, მიწის ნაკვეთის გაყოფა/გაერთიანების მიზნობრიობის აღწერა.

ვადები: სპეციალური ვადა არ არის დადგენილი

12. გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 სექტემბრის N116 დადგენილებით.

**მოსაკრებელი:** ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობა:

ა) ახალსაშენებელი ობიექტის, გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 2 (ორი) ლარის დაანგარიშებით.

ბ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევაში ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 3 (სამი) ლარის დაანგარიშებით.

გ) ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის დაანგარიშებით.

ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, ამ



დადგენილების პირველი მუხლით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობა II კლასის ობიექტებისთვის განისაზღვროს 50 ლარის ოდენობით, III კლასის ობიექტებისთვის - 200 ლარის ოდენობით, ხოლო IV კლასის ობიექტებისთვის - 400 ლარის ოდენობით.

#### **2.2.6.**

სერვისების მიღება შესაძლებელია ელექტრონულად, პორტალ: [ms.gov.ge](http://ms.gov.ge)-ს მეშვეობით.